თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.1 ფინანსური აღრიცხვა, მისი მიზანი და როლი ბიზნესში
1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები
1.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები
1.4 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა
1.5 ფინანსური აღრიცხვის რეგულირება
1.6 აუდიტი
1.7 პროფესიული ეთიკა

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.1 ფინანსური აღრიცხვა, მისი მიზანი და როლი ბიზნესში

ფინანსური აღრიცხვა

არის საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება საწარმოს საქმიანი აქტივობის შესახებ ინფორმაციის **მოპოვება**, **დამუშავება**, **შეფასება**, **რეგისტრაცია** და **ანგარიშგების წარდგენა** დაინტერესებული პირებისათვის.

თავი 1. ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.1. ფინანსური აღრიცხვა, მისი მიზანი და როლი ბიზნესში

- ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს ტრანზაქციების შესახებ, შემდეგ კი ავრცელებს დაინტერესებულ მხარეებს შორის ფინანსური ანგარიშგების სახით. ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა ფორმირდება ისეთი **ფაქტორების გავლენით, როგორიცაა: ბიზნესის და გარიგების შინაარსი, საწარმოს კატეგორია, მონაცემების დამუშავების მოცულობა და იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მზადდება ხელმძღვანელი პირების მოთხოვნით.**

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.1 ფინანსური აღრიცხვა, მისი მიზანი და როლი ბიზნესში

ფინანსური აღრიცხვა არის სისტემა, რომლითაც გროვდება ინფორმაცია ბიზნეს-გარიგებების შესახებ

ფინანსური აღრიცხვის მიზანი
ფინანსური ანგარიშგების მომზადება

ფინანსური აღრიცხვის როლი -
სააღრიცხვო ინფორმაციის საფუძველზე ინფორმაციის მომხმარებლების მიერ გადაწყვეტილებების მიღება

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები



საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

- ინდივიდუალური მეწარმე
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)
- კომანდიტური საზოგადოება (კს)
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
- სააქციო საზოგადოება (სს)
- კოოპერატივი



თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

ინდივიდუალური მეწარმე -
ბიზნეს-სტრუქტურა, რომელსაც საკუთრებაში ფლობს და მართავს ფიზიკური პირი. ინდივიდუალური მეწარმე შეიძლება იყოს, მაგალითად, მძღოლი-ინსტრუქტორი, საქორწინო ცერემონიების ფოტოგრაფი და ა.შ. თუმცა საქმიანობის სფეროს შეზღუდვები კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობს.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება -
ბიზნეს-სტრუქტურა, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები – მთელი თავისი ქონებით.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

კომანდიტური საზოგადოება - ბიზნეს-სტრუქტურა, რომელიც ერთიანი საფირმო სახელწოდებით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ შექმნილი ერთიანობაა, სადაც ერთი ან რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით. მათ შეზღუდული პარტნიორები ანუ კომანდიტი ეწოდებათ, ხოლო სხვა პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეუზღუდავია. ესენი არიან სრული პარტნიორები ანუ კომპლემენტარები.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - ბიზნეს-სტრუქტურა, რომლის საქმიანობის ორგანიზებაც ხორციელდება გამოცალკევებულად იმ მფლობელებისაგან, რომლებიც დებენ საწარმოში ინვესტიციებს მისი წილების შესყიდვის გზით. ასეთი საწარმოს მონაწილეთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მათ მიერ ინვესტირებული ან გარანტირებული თანხის ოდენობით.

ამხანაგობა -
ბიზნეს-სტრუქტურა, რომლის საქმიანობასაც ერთობლივად წარმართავს ორი ან მეტი პირი, მაგ. ბუღალტრები, ადვოკატები და ა.შ.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

სააქციო საზოგადოება -
ბიზნეს-სტრუქტურა, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. სააქციო საზოგადოება შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ან კერძო.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

- კოპერატივი - წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული საზოგადოება. მისი კაპიტალი იქმნება წევრების საპაიო შენატანების საფუძველზე. კოპერატივის მიზანია მისი წევრების ინტერესთა დაკმაყოფილება და არა მოგების მიღება. კოპერატივი იმართება წესდებითხელმძღვანელობს გამგეობა. პირველ წელს მოგება წევრებს შორის და ნაწილდება მათი შესრულებული შენატანის პროპორციულად, ხოლო მომდევნო წელს - წლის ბოლოსათვისარსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

ბიზნეს-საწარმოების ფორმების შედარება

მახასიათებლები	ინდივიდუალური საწარმო	ამხანაგობა	კომპანია
მფლობელების რაოდენობა	ერთი პირი	ორი ან მეტი პირი	ერთი ან მეტი პირი
ფორმირება	მარტივი ფორმირება	შედარებით რთული ფორმირება	რთული ფორმირება
კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა	კაპიტალის მოზიდვის სირთულე	კაპიტალის მოზიდვის სირთულე	კაპიტალის მოზიდვის სიმარტივე
პასუხისმგებლობის რისკი	შეუზღუდავი პასუხისმგებლობა	შეზღუდული პასუხისმგებლობა	შეზღუდული პასუხისმგებლობა
დაბეგვრის საკითხები	ერთმაგი დაბეგვრა	ერთმაგი დაბეგვრა	ორმაგი დაბეგვრა

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები





თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში
1.2 საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

კომერციული საწარმოები:

- სამრეწველო;
- სავაჭრო;
- მომსახურება.

Cost Accounting Vs Financial Accounting

თავი 1. ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში
1.3.ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები

საწარმო წარმოადგენს სისტემას, რომელშიც ამა თუ იმ კონკრეტული მიზნების მისაღწევად მუშაობენ გარკვეული რაოდენობის ადამიანები, რომელთა შორის არსებული კავშირები ქმნის ერთ მთლიანობას. საწარმოების საქმიანობა ბევრადაა დამოკიდებული სასარგებლო ინფორმაციაზე.

ფინანსური აღრიცხვის საინფორმაციო სისტემა აგროვებს და ამუშავებს საწარმოში შემოსული პირველადი დოკუმენტების პაკეტს და ქმნის საბოლოო დოკუმენტაციას. ინფორმაცია დამუშავების შემდეგ განზოგადდება **ფინანსურ ანგარიშგებაში**.

მრავალი ადამიანი მმართველობითი ბიზნეს- საქმიანობის ფარგლებს გარეთ ჩართულია საწარმოების ეკონომიკურ მართვაში. ასეთ პირებსა და სააგენტოებს **დაინტერესებული მხარეები** ეწოდებათ.

დაინტერესებული მხარეების ტიპებია: **კონკურენტები, მთავრობა, საწარმოს პერსონალი, საკრედიტო ორგანიზაციები, მფლობელები, ანალიიტკოსები, მენეჯერები, მომწოდებლები,კლიენტები, საზოგადოება**.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.3.ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები

სააღრიცხვო ინფორმაციის მომხმარებლები

შიდა

- მენეჯერები
- მომუშავეები



გარე

- ინვესტორები
- კრედიტორები
- მომწოდებლები
- კლიენტები
- საგადასახადო ორგანოები
- მარეგულირებელი ორგანოები

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები

ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები:

- არსებული და პოტენციური ინვესტორები;
- არსებული და პოტენციური გამსესხებლები და სხვა კრედიტორები;
- სხვა დანარჩენი (ხელმძღვანელობა, დაქირავებით მომუშავეები, საგადასახადო სამსახური, საზოგადოების წევრები) მომხმარებლები.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში
1.3 ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლები



ინფორმაცია საწარმოს რესურსებისა და მისი გამოყენების შესახებ მომხმარებლებს დაეხმარება ფინანსურად ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებაში. ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება შეფასდეს ხელმძღვანელობის საქმიანობა - რამდენად ეფექტიანად იქნა მათ მიერ მართული საწარმოს რესურსები გამოყენებული და როგორ გამოიყენებენ ამ რესურსებს მომავალში. ამით შესაძლებელი იქნება შეფასდეს მომავალში ფულადი სახსრების შემოდინების პერსპექტივა.


რისთვისაა საჭირო ინფორაცია?
საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად
რა უნდა შეფასდეს?
წმინდა ფულადი სახსრების შემოდინების პერსპექტივები
საწარმოს ხელმძღვანელობის ეკონომიკური რესურსების მართვის ეფექტიანობა
რომელი ინფორმაცია უნდა შეფასდეს?
საწარმოს ეკონომიკური რესურსები, მის მიმართ არსებული მოთხოვნები და მათი ცვლილებები

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.4 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა

ფინანსური აღრიცხვა უზრუნველყოფს გარე მომხმარებელს ინფორმაციით:

- რამდენია საწარმოს ვალდებულება?
- შეძლებს თუ არა საწარმო ვალდებულების დაფარვას?
- აქვს საწარმოს საკმარისი შემოსავლები?



თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.4 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა

მმართველობითი აღრიცხვა უზრუნველყოფს შიდა გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ინფორმაციას:

- საკმარისია თუ არა ფულადი სახსრები ვალდებულებების დასაფარავად?
- რას უდრის წარმოებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება?
- შესაძლებელია თანამშრომლებისათვის ხელფასის გაზრდა?

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.4 ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა

განსხვავება ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას შორის ანგარიშგებასთან დამოკიდებულების მიხედვით:

- მომხმარებლები;
- კომპონენტები;
- პერიოდულობა;
- მიზანი;
- ფოკუსირება;
- წარდგენის საზომი ერთეული;
- შემოწმება.



მიხედვით		
ანგარიშგების მომხმარებლები	გარე მომხმარებლები: აქციონერები, კრედიტორები, მარეგულირებელი ორგანოები და ა.შ.	შიდა მომხმარებლები: ხელმძღვანელები, საშუალო რგოლის მენეჯერები და სხვ.
ანგარიშგების კომპონენტები	ფინ.ანგარიშგება: ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და სხვა	შიდა ანგარიშგება: სამუშაოს ღირებულების კალკულაცია, წარმოებული პროდუქციის თვითღ.გაანგარიშება და ანგ. მომზადება
ანგარიშგების პერიოდულობა	კვარტალური, წლიური	საჭიროებისამებრ
ანგარიშგების მიზანი	გარე მომხმარებლებს ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებაში, სესხის პირობების განსაზღვრაში	შიდა მომხმარებლებისათვის დახმარება დაგეგმვასა და კონტროლი გადაწყვეტ. პროცესზე
ანგარიშგების ფოკუსირება	იყენებს თუ არა საწარმო ფასს-ს სრულად, თუ სსვა შერეული , ან ინდივიდუალური აღრიცხვის წესების გამოყენებით ამზადებს ანგარიშგებას	მზადდება საწარმოში არსებული დეპარტამენტებისა და განყოფილებების შინაარსის გათვალისწინებით დეტალური ანგარიშები, არ არსებობს შეზღუდვები.
ანგარიშგების წარდგენის საზომი ერთეული	ფულადი	ფულადი და არაფულადი
ანგარიშგების შემოწმება	რეგისტრირებული აუდიტორი	შიდა აუდიტი

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.5 ფინანსური აღრიცხვის რეგულირება

- კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
- ბუღალტული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS – Internationale Accounting Standards)
- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტადარტების საბჭო (IASB - International Accounting Standards Board)

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები - ფასს (IFRS - Internationale Financial Reporting Standards),

თავი 1. ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.6. აუდიტი

თანამედროვე ეკონომიკური პროცესების გონივრული მართვა უწ. ყოვლისა გამოწვეულია ანგარიშვალდებულების კონცეფციის რეალიზაციის მოთხოვნით და იმ ფაქტორითაც, რომ აუდიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია დაეხმარება პირებს, საწარმოებს, ბიზნესმენებს და მთავრობას გაზარდონ თავიანთ ქმედებათა ეფექტურობა, რაც მოსალოდნელი შემოსავლების, დანახარჯების და რისკების შეფასების საშუალებას იძლევა, ანუ ასეთი ინფორმაცია ზრდის საიმედოობისა და უტყუარობის ფაქტორს, რადგან იგი ზუსტად აჩვენებს - რამდენად სწორად ასახავს ანგარიში ფინანსურ მდგომარეობას. დაინტერესებულ მხარეებს ფინანსური ანგარიშგე- ბის სანდოობის დადასტურებაში ეხმარება აუდიტი.

საქართველოს კანონი ,, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მოიცავს მოთხოვნებს აღრიცხვის, აუდიტისა და ეთიკის სტანდარტების გამოყენების შესახებ.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.6 აუდიტი

ანგარიშვალდებულების კონცეფცია

აუდიტი წარმოადგენს სპეციფიკურ ცოდნათა სისტემას ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური ოპერაციების კანონიერების, უტყუარობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესწავლის პრინციპებისა და ხერხების შესახებ.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.6 აუდიტი

აუდიტის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სამეურნეო პროცესებისა და ოპერაციების შესწავლა კანონიერების, უტყუარობისა და სამეურნეო მიზანშეწონილობის პოზიციიდან.

თავი 1. ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.6. აუდიტი

აუდიტის წარმოშობა დაკავშირებულია საწარმოს მართვასთან და მათთან, რომლებიც ამ საქმიანობის დამფინანსებლები/ დამფუძნებლები არიან. ეს უკანასკნელნი ვერ ეყრდნობიან მხოლოდ მმართველი ფინანსური ჯგუფის მიერ მომზადებულ ინფორმაციას, ამიტომ იწვევენ აუდიტორებს, რომელთა აზრიც მისაღები და სარწმუნოა მათთვის.

არსებობს აუდიტის ორი სახე: შიდა და გარე აუდიტი.

გარე აუდიტი ტარდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. მისი მიზანია გამოიკვლიოს რამდენად სწორად და სამართლიანადაა მომზადებუ-ლი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება.აუდიტორული ანგარიშგების ადრესატია არა ორგანიზაციის მენეჯმენტი, არამედ მისი აქციონერები.

შიდა აუდიტი არის მენეჯმენტის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც იგი ამოწმებს შესაბამისად სრულდება თუ არა ბუღალტრული პროცედურები. შიდა აუდიტის სტანდარტებსა და პროცედურებს ორგანიზაციის მენნეჯმენ-ტი განსაზღვრავს. შიდა აუდიტის დადებითი ეფექტი მდგომარეობს სისტემისგაუმჯობესებასა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში.

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.7 პროფესიული ეთიკა

„პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ თანახმად, „ბუღალტრის როლი არის ის, რომ სააღრიცხვო ინფორმაცია წარუდგინოს სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ კანონიერი უფლება იქონიონ სასარგებლო ინფორმაცია კომპანიის ოპერაციებისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“.

International Federation of Accountants

ბუღალტრის ეთიკის კოდექსის საფუძველზეც ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ შემუშავებულია ბუღალტრის ეთიკის სტანდარტები

თავი 1 ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.7 პროფესიული ეთიკა

პროფესიონალ ბუღალტერთა **ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები** მოიცავს იმ მნიშვნელოვან ეთიკურ ნორმებს, რომლებიც უნდა დაიცვას ყველა პროფესიონალმა ბუღალტერმა. ეს პრინციპებია:

- პატიოსნება;
- ობიექტურობა;
- პროფესიული ქცევა;
- კონფიდენციალობა;
- ეთიკური კონფლიქტების მოგვარების უნარი;
- საგადასახადო პრაქტიკის ფლობა;
- ეთიკური ნორმების დაცვა საერთაშორისო საქმიანობის განხორციელების დროს;
- ეთიკური სტანდარტები შრომის ბაზარზე საკუთარი მომსახურების შეთავაზებისას.

International Federation of Accountants

თავი 1. ფინანსური აღრიცხვის როლი ერთიან საინფორმაციო სისტემაში

1.7. პროფესიული ეთიკა

ბუღალტრის პროფესიული ეთიკის სტანდარტები ძირითად პრინციპებთან ერთად გულისხმობს კონცეპტუალური მიდგომების დაცვას ბიზნეს - სექტორში. ესენია:

- დამოუკიდებლობა;
- პროფესიული კომპეტენცია და პასუხისმგებლობა სხვა სპეციალისტების მოზიდვაში;
- ჰონორარი;
- საჯარო პრაქტიკასთან შეუთავსებელი საქმიანობა;
- მომხმარებელთა ფულადი სახსრები;
- რეკლამა და საკუთარი მომსახურების შეთავაზება;
- ერთგულება;
- კოლეგების მხარდაჭერა;
- ინფორმაციის წარდგენა.

We
Accounting
© the-alternative-accountant.com

STARBUCKS
COFFEE